პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 221 (6030)
1977 წ. 12 ნოემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

ПРАВДА

9 ნოემბრის მოწინავე

საბჭოთა ხალხმა, ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ადამიანმა ფართოდ და საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს საგულისხმო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. სახელოვანი იუბილეს დღესასწაულობა იყო ჩვენი მიღწევების შთამბეჭდავი დათვალიერება, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უძლეველი ძალისა და იდეების სიცხოველის, სოციალისტური წყობილების ძალისა და სიცხოველის ახალი მკაფიო დადასტურება.

მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“ სხდომაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მიიღეს მიმართვები „საბჭოთა ხალხისადმი“ და „მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი“.

ტრადიციისამებრ მოსკოვში გაიმართა შთამბეჭდავი სამხედრო პარადი და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია. ზეიმობა მოეწყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქსა და სოფელში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საზეიმო სხდომაზე შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი დოკუმენტია, დიდი წვლილია მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში. არაჩვეულებრივად ღრმად და ყოველმხრივ, ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები მოხსენებაში ოქტომბრის სამშობლოს მიერ განვლილი გმირული გზა, ჩვენი უდიდესი მიღწევები, ჩვენი პრობლემები და პერსპექტივები, მეცნიერულად არის გაანალიზებული საერთაშორისო ვითარება.

აი უკვე 60 წელია საბჭოთა კავშირი კაცობრიობის სოციალური პროგრესის ავანგარდშია.

უმოკლეს ისტორიულ ვადებში ჩვენ ვეებერთელა ჩამორჩენილი ქვეყანა გადავაქციეთ მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც მაღალგანვითარებული ინდუსტრია და კოლექტივიზებული სოფლის მეურნეობა აქვს. ჩვენ გავამდიდრეთ კაცობრიობის ისტორია მშრომელთა სულიერი განთავისუფლების გამოცდილებით, მის სამსახურში ჩავაყენეთ მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები. „განხორციელდა კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეთა ოცნება — მოხდა შრომისა და კულტურის ისტორიული შერწყმა, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო სხდომაზე. — ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მთელი მსოფლიო კულტურის ისტორიაში ეს უდიდესი მნიშვნელობის შემობრუნება იყო“.

ჩვენ გადავწყვიტეთ ეროვნული საკითხი — კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, ყველაზე დრამატული საკითხი. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, თანასწორობა, ძმობა, ჩვენი კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა ფაქტი გახდა.

ჩვენ დავამკვიდრეთ სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. ახლახან მიღებულმა საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ყველა გარდაქმნა, ყველა ცვლილება, რომლებიც ქვეყანაში ხდება, მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა თითოეული ადამიანისათვის ცხოვრების ნამდვილად ადამიანური პირობების უზრუნველყოფას. ჩვენმა ძირითადმა კანონმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო, რომ თავისუფლების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის ცნებებს მხოლოდ სოციალიზმის პირობებში ენიჭება ნამდვილი შინაარსი.

საბჭოთა ქვეყანაში პირველად პლანეტაზე აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, პირველად შენდება კომუნისტური საზოგადოება. ამ საზოგადოების შესაძლებლობანი უდიდესია. მათი სრული რეალიზაცია ჩვენი დღეების მთავარი ამოცანაა. ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის საზომი ჩვენთვის ისტორიის მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობის საზომიცაა.

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული ეს პასუხისმგებლობა, სკკპ XXIV და XXV ყრილობებზე განსაზღვრეს თანამედროვე, უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის სტრატეგია და ტაქტიკა. ეკონომიკის დარგში დავადექით საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური ზრდის, მთელი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსს.

ამ კურსის განხორციელების წარმატებანი შთამბეჭდავია: საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი პრაქტიკულად გაორკეცდა. ამასთან მოხდა ღრმა თვისებრივი ცვლილებებიც, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხომ ეკონომიკის განვითარების სულ უფრო ქმედითი ფაქტორი ხდება. განუხრელად მატულობს შრომის ნაყოფიერება, წარმატებით წყდება საბჭოთა მოქალაქეების მუშაობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან უშუალოდ დაკავშირებული ამოცანები. ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში, საგრძნობლად წაიწია წინ საბინაო პრობლემის გადაწყვეტამ, დიდი რესურსები გამოიყო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის. საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი 10 წლის მანძილზე 1,6-ჯერ გაიზარდა.

ჩვენი სამშობლოს ყველა მიღწევა მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის მარჯვენისა და გონების საქმეა. განსაკუთრებით ეფექტიანი, ჭეშმარიტად დამკვრელური იყო მათი შრომა ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ. ამის ნათელი დადასტურებაა საოქტომბრო შეჯიბრების სასიხარულო შედეგები, მრავალი პატაკი გადიდებული ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შესრულების შესახებ. საბჭოთა ადამიანები ღირსეულად შეხვდნენ დიდი რევოლუციის სახელოვან წლისთავს.

ჯეროვნად აფასებს რა წარმატებებს, პარტიას კარგად ესმის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და გადაუწყვეტელი ამოცანა გვაქვს, რომ წინ საქმიანობის უდიდესი ასპარეზია გადაშლილი.

„საბჭოთა ხალხისადმი“ მიმართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საბჭოთა ადამიანებს მოუწოდეს დაუცხრომლად განამტკიცონ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო მაღლა ასწიონ დროშა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებისა მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მტკიცედ იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, უფრო ფართოდ დანერგონ წარმოების მოწინავეთა გამოცდილება, იბრძოლონ მიწის, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონის, მოწყობილობის, ყველა მასალის, სამუშაო დროის თითოეული წუთის რაციონალური გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის განუხრელი დაცვა, მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა თავისი საერთო-სახალხო სახელმწიფოს საქმეებში, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობის, თავისუფლებისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ორგანული შეხამება ჩვენი ახალი გამარჯვებების საწინდარია.

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე ამოცანები სულ უფრო მასშტაბური და რთული ხდება. სწორედ აქედან გამომდინარეობს შეთანხმებული, შეწყობილი მუშაობის, დისციპლინის, სხვანაირად რომ ვთქვათ, მუშაობაში მაღალი ორგანიზებულობის მნიშვნელობა. „მაღალი ორგანიზებულობა ყველა დონეზე, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში თითოეულ სამუშაო ადგილას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი, უცილობელი წანამძღვარია“.

(დასასრული მე-2 გვ.).

თბილისის „დინამო“ — ვერცხლის პრიზიორი

ჩემპიონატის ბოლო მატჩი. ფინალური სასტვენის ხმა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ვერცხლის პრიზიორია.

ათასობით მაყურებლის ტაში, ათიათასობით ფეხბურთის მოყვარულის მადლობის სათქმელი სიტყვა მიაცილებს სეზონის ყველაზე პოპულარულ კოლექტივს.

არც ეს გამარჯვება, გულშემატკივრის არც ეს გამორჩეული სიყვარული თავისთავად და იოლად არ მოსულა. შარშანდელი ორი ბრინჯაო, სსრ კავშირის თასი, ახლა კი მართლაცდა დაუყვედრებელი, დამსახურებული ვერცხლი. ყველაფერი ეს ორ წელიწადში შეძლო „დინამომ“, თანდათან, წვითა და დაგვით დაიმკვიდრა ძლიერი, ლამაზი გუნდის სახელი. ჯილდოც ამ გარჯის, ვაჟკაცური თამაშის შესაფერი გამოდგა.

წლეულს ჩვენმა საყვარელმა გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. კოლექტივის დღევანდელი შემხრთება, სახვალიო მიზნები სპორტის ყველა ქართველ მოყვარულს იმედს აძლევს, რომ ეს წინსვლა არ შეწყდება.

სურათზე: პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან) ვ. დარასელია, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, რ. შენგელია, რ. ჩელებაძე; მეორე რიგში: თ. კოსტავა, გ. მაჩაიძე, მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მეტრეველი, გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიძიშვილი, უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი, მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე, გუნდის კაპიტანი მ. მაჩაიძე; მესამე რიგში: ო. გაბელია, დ. მუჯირი, ა. ჩივაძე, შ. ხინჩაგაშვილი, ფ. კანთელაძე, ნ. ხიზანიშვილი, ვ. ქორიძე და დ. გოგია.

ა. სააკოვის ფოტო.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტში

საქართველოში მოამსვლელობის განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ივანე (ცაკო) მარი დაჯილდოვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

დასასრული

იმისათვის, რომ წარმატებით, ოპტიმალური რეჟიმით დავძლიოთ ციცაბო და ძნელი გზა პროგრესის მწვერვალებისაკენ, კომუნიზმისაკენ, პარტია დღევანდელ გეგმებს საფუძვლად უდებს ხვალინდელი დღის ამოცანების შესრულებას. მარტოოდენ მიმდინარე საჭიროებებზე ორიენტაციით როდი გამოირჩევა პარტიის აგრარული პოლიტიკა. უკანასკნელ წლებში შემუშავებული დიდი კომპლექსური პროგრამები — ეს არის რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის განვითარების პროგრამები, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის შექმნა და სხვა. მომავალ საქმეებში დიდი როლი ეკისრება მეცნიერებას.

„ჩვენი ეკონომიკის მომავალი, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეფექტიანობის ამაღლებაა. სახალხო მეურნეობის წარმატებული, დინამიკური განვითარების უზრუნველყოფის სხვა გზა არ არსებობს. სწორედ ამიტომ პარტია ახორციელებს და კვლავაც განუხრელად განახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, ყოველ სამუშაო ადგილზე, ყოველ სამმართველო რგოლში ორგანიზებულობისა და წესრიგის გაძლიერების ხაზს“.

კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ფრონტია იდეოლოგიური მუშაობა — ადამიანისათვის მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისაკენ მისწრაფების, იდეური სიმტკიცის, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩანერგვა. ამ ფრონტზე ჩვენს გამარჯვებაზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც.

მთელ თვიანთ მიღწევებს, ყველა გამარჯვებას საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ კომუნისტთა პარტიას. ისინი მხურვალედ იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას.

პარტიას უსაზღვროდ ენდობიან მშრომელები, მაგრამ ხალხის ნდობა მომთხოვნი ნდობაა. ამიტომ პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა სულ უფრო მეტად მტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რათა პარტიისადმი ხალხის ნდობა კვლავაც ურყევი იყოს.

ოქტომბერმა სახე უცვალა მსოფლიოს. „ავრორას“ ისტორიული ზალპის შემდეგ ისტორია გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა და განვითარება ყველაზე მთავარია ოქტომბრის იმ შედეგებიდან, რომლებმაც განსაზღვრეს თანამედროვე ეპოქის სახე. ამის შედეგად მსოფლიო სოციალიზმის პრაქტიკა გაფართოვდა, გამდიდრდა, და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პრაქტიკამ მოიტანა სოციალისტური მშენებლობის ფორმების მრავალფეროვნება.

ოქტომბრის რევოლუცია — ეს უწინარეს ყოვლისა არის ჩვენი ქვეყნის საქმე, იმ პრობლემების გადაწყვეტის რადიკალური საშუალება, რომლებიც ისტორიამ, მისი განვითარების კონკრეტულმა პირობებმა დასვეს. ამასთან ეს იყო პრობლემები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე აღელვებდა მთელ კაცობრიობას. ოქტომბერმა გაგვიხსნა მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტისა და ამით ქვეყნად ახალი ტიპის ცივილიზაციის შექმნის გზა და სწორედ ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ოქტომბერი, სსრ კავშირში სოციალიზმის განვითარების გამოცდილება. მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილება ადასტურებს, რომ არსებობს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო, განუყოფელი ნიშნები.

ამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რევოლუციის მთავარი საკითხი იყო და არის ძალაუფლების საკითხი: ვის უპყრია ხელთ ძალაუფლება, ბურჟუაზიას თუ მუშათა კლასს, რომელიც მოქმედებს მთელ მშრომელ ხალხთან კავშირით. ამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოციალიზმი მაშინ არის შესაძლებელი, თუ მუშათა კლასი და მისი მოკავშირენი, მოიპოვებენ რა რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას, გამოიყენებენ მას ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის; თუ მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტები შეძლებენ შეაკავშირონ მშრომელები ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში; თუ მშრომელთა ხელისუფლება შეძლებს დაიცვას რევოლუციის მონაპოვრები კლასობრივი მტრის იერიშებისაგან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დიდი წვლილი თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში ის ახალი ურთიერთობაა, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის დამყარდა.

„ჩვენ, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — წმინდა სინდისით შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი კავშირი, ჩვენი მეგობრობა, ჩვენი თანამშრომლობა — ეს არის კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა სუვერენული, თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო მიზნებითა და ინტერესებით, ამხანაგური სოლიდარობითა და ურთიერთდახმარებით. ჩვენ ერთად მივდივართ, ვეხმარებით ერთმანეთს, ვაერთიანებთ ღონისძიებებს, ცოდნას, რესურსებს რაც შეიძლება სწრაფი წინსვლისათვის“.

ოქტომბერმა უდიდესი გავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე. ჩვენი რევოლუციის გამარჯვებამ გამოაღვიძა კოლონიური ხალხების შეგნება, დაეხმარა მათ მოეპოვებინათ უდიდესი წარმატებანი იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კლასიკური ფორმის ლიკვიდაცია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბევრი განთავისუფლებული ქვეყანა უარყოფს განვითარების კაპიტალისტურ გზას და მიზნად ისახავს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების შექმნას, ორიენტაციას სოციალიზმზე იღებს. სოციალისტურ სახელმწიფოთა სახით ამ ქვეყნებს ერთგული და საიმედო მეგობრები ჰყავთ, რომლებიც მზად არიან ყოველნაირი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ მათ პროგრესული გზით განვითარებაში.

ოქტომბრის გამარჯვებამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი დასახა. სოციალიზმის მშენებლობამ სსრ კავშირში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში ხელი შეუწყო კაპიტალის სამყაროს მუშათა კლასის პოლიტიკური სიმწიფის ზრდას. უფრო ორგანიზებული გახადა მისი რიგები. ჩამოყალიბდა ძალა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ისტორიაში, — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. გაფართოვდა მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მოკავშირეთა ფრონტი.

ღრმავდება კაპიტალიზმის კრიზისი, კაპიტალის ქვეყნებში დიდად მომწიფდა ობიექტური ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები სოციალიზმზე გადასვლისათვის, მასები სულ უფრო მეტად მოითხოვენ ძირეულ ცვლილებებს.

ამ პირობებში კომუნისტური პარტიები ცდილობენ სრულყონ თავიანთი რევოლუციური მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, მთელ დემოკრატიულ ძალებს რაზმავენ მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო, არის და მუდამ იქნება მსოფლიოს კომუნისტთა დიადი ძმობის ერთგული. იგი ყველაფერს ღონობს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის. ამასთან ჩვენი პარტია მტკიცედ იცავს თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ყველა ქვეყნის კომუნისტთა სოლიდარობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებს.

ოქტომბერი და მშვიდობა, სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის ნიშნით შობილი საბჭოთა ქვეყანა უცვლელად და თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს.

მშვიდობის გზაზე საგრძნობი წარმატებანია მიღწეული, სამოცდაათიანი წლები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით აღინიშნა. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, როგორც ერთადერთი რეალისტური და გონივრული, საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრდა საერთაშორისო საქმეებში, ყოველივე ეს იმ უდიდესი მუშაობის შედეგია, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე გასწიეს საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა, რათა მიაღწიონ მშვიდობის მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნას.

ახლა ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არსებითად შეამცირონ, შემდეგ კი აღმოფხვრან ატომური ომის საფრთხე, შეანელონ გამალებული შეიარაღება, დღენიადაგ შეამცირონ ორი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის სამხედრო კონფრონტაცია.

გაგებითა და მოწონებით შეხვდა მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ რადიკალურ ღონისძიებებს ამ მიმართულებით: შევთანხმდეთ, რომ ყველა სახელმწიფომ ერთდროულად შეწყვიტოს ატომური იარაღის წარმოება, რომ გარკვეული ვადით ატომური იარაღის ყველა გამოცდის აკრძალვასთან ერთად გამოცხადდეს მშვიდობიანი მიზნით ატომური აფეთქებების მორატორიუმი.

მშვიდობა ხალხებს — ოქტომბრის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ლოზუნგს, ლენინის ანდერძს ასრულებს ჩვენი პარტია, როცა ახორციელებს საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ყველა ქვეყნისა და ხალხის ფართო და კონსტრუქციული თანამშრომლობის მომხრენი ვართ, რათა გადაწყდეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემები — უზრუნველყოფილი იყოს სურსათითა და ნედლეულით ადამიანთა უდიდესი მასები ქვეყნად, დაცულ იქნეს ბუნება ადამიანისათვის, და მთელი რიგი სხვა პრობლემები.

ოქტომბრის ზეიმობა ყველა ქვეყნის მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოლიდარობის შესანიშნავი დათვალიერებაა. ზეიმობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ოქტომბრის მიერ დაწყებული ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის რადიკალური გარდაქმნა მეგობრობისა და ურთიერთგაგების, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე ახლა ღირსეულად გრძელდება და ვითარდება.

არ შეიძლება საბჭოთა ადამიანებს არ ახარებდეს ის ფაქტი, რომ ოქტომბრის დღესასწაულობაზე ჩამოვიდა მსოფლიოს 104 ქვეყნის 123 დელეგაცია. მათ შემადგენლობაში სხვადასხვა ადამიანები იყვნენ, მაგრამ ყველანი მოსკოვში ჩამოიყვანა საბჭოეთთან სოლიდარობის გრძნობამ, იმის შეგნებამ, რომ ეს რევოლუცია მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, მისწრაფებამ იარონ ოქტომბრის გზით თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების განვითარების სპეციფიკურ თავისებურებათა შესაბამისად.

ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები ერთად შეიკრიბნენ, — მკაფიოდ მოწმობს მშვიდობის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის ქომაგთა შეკავშირებასა და კეთილ თანამშრომლობას. ამ ადამიანების, იმ სოციალური ძალების ერთიანობა, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, მშრომელებს შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა და უშიშროება, ააშენონ ახალი ბედნიერი ცხოვრება მთელი ჩვენი პლანეტის ხალხებისათვის. „ჩვენ იმ ეპოქისაკენ მივდივართ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — როცა სოციალიზმი, მისი ამა თუ იმ კონკრეტული, ისტორიულად განპირობებული ფორმით ქვეყნად გაბატონებული საზოგადოებრივი სისტემა გახდება და მთელ მშრომელ კაცობრიობას მოუტანს მშვიდობას, თავისუფლებას, თანასწორობასა და კეთილდღეობას“.

საბჭოთა ადამიანები მუშაობენ და კვლავაც მზად არიან იმუშაონ ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის. ააშენეს რა განვითარებული სოციალიზმი, ისინი გულდაჯერებით მიდიან კომუნიზმის გზით.

კომუნიზმი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ნათელი მომავალი, მთელი კაცობრიობის მომავალია!

დიად იუბილეს მიეძღვნა

თბილისში ფინიში ჰქონდა სააგიტაციო საავტომობილო გადარბენას, რომელშიც ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილმა შეჯიბრებამ სტარტი თბილისში 27 ოქტომბერს აიღო. ლაშქრობის მარშრუტი იყო: ბოგდანოვკა — ლენინაკანი — ერევანი — მინგეჩაური — ბაქო — ზაქათალა — ლაგოდეხი — თელავი — თბილისი. გზადაგზა ავტოგადარბენის მონაწილეებს უმართავდნენ შეხვედრებს, ეწყობოდა მიტინგები.

• • •

სურათზე: ავტოგადარბენის მონაწილეები თბილისში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სიახლე — უტირაჟო ბარათი

მათთვის, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია ყოველი ტირაჟისთვის რეგულარულად შეიძინოს ბარათები, ვინც იძენს ერთდროულად დიდი რაოდენობის ბარათებს, ვინც ტირაჟიდან ტირაჟში ხაზავს ერთსა და იმავე ნომრებს და გამომუშავებული აქვს თამაშის საკუთარი სისტემა, ვინც იმყოფება მოგზაურობაში, ზღვაოსნობაში, ექსპედიციაში, სოფლის მცხოვრებთათვის და „სპორტლოტოს“ ყველა მოყვარულისთვის ძალიან მოხერხებული იქნება ახალი უტირაჟო ბარათები, რომლებიც იყიდება ნოემბრის დასაწყისიდან.

ეს არის „სპორტლოტო-2“-ის და „შაბათის სპორტლოტოს“ ბარათები, რომელთა მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე წლის დარჩენილ იმ ტირაჟში, რომლებსაც თვითონ ამოირჩევენ.

ჩვეულებრივი ბარათებისაგან უტირაჟოები გამოირჩევა მხოლოდ იმით, რომ მათზე არ არის დასმული ტირაჟის ნომერი.

უტირაჟო ბარათების შევსება ხდება ისევე, როგორც ჩვეულებრივი ბარათებისა.

მხოლოდ ერთი ახალი პირობაა: „A“, „B“ და „V“, სამივე ნაწილში, მარცხენა ზემო კუთხეში, იქ, სადაც ნაჩვენებია გამოშვების წელი, აუცილებლად გარკვევით დაწერეთ ნომერი იმ ტირაჟისა, რომელშიც თქვენ გსურთ მონაწილეობის მიღება.

თუ თქვენ დაგავიწყდათ ბარათზე ტირაჟის ნომრის აღნიშვნა — გული ნუ დაგწყდებათ! თქვენი ბარათები მაინც მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, მაგრამ მხოლოდ მიმდინარე წლის უკანასკნელ ტირაჟში. თუ თქვენ ვერ შეძელით მოგებული თანხის მიღება განაღდების ვადის დროს საპატიო მიზეზის გამო, მაშინ შეგიძლიათ მოთხოვნით მიიღოთ მოგება ყოველთვის, თუ წარადგენთ თქვენი დაგვიანების მიზეზის საბუთს!

უტირაჟო ბარათების „B“ და „V“ ნაწილების ჩაშვება „სპორტლოტოს“ ყუთებში შეიძლება ყოველთვის, მაგრამ არაუგვიანეს თქვენს მიერ ამორჩეული ტირაჟის ჩატარების განსაზღვრული დროისა.

სოფლის მცხოვრებლებს, სადაც არ არის „სპორტლოტოს“ ყუთები, შეუძლიათ, გააგზავნონ „B“ და „V“ ნაწილები კონვერტით ტირაჟის ჩატარებამდე არა ნაკლებ 15 დღით ადრე, შემდეგი მისამართით: „სპორტლოტოს“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო (380019. თბილისი — 19. ელიავას ქ. № 26).

უტირაჟო ბარათები შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისის ყველა შემნახველ სალაროში. უახლოეს მომავალში იგი გაიყიდება „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, ფოსტის განყოფილებებში, ერთი სიტყვით, რეალიზაციის ყველა პუნქტში, სადაც იყიდება „სპორტლოტოს“ ბარათები.

გაგაცნობთ 1977 წლის ჩასატარებელი ტირაჟის ნომრებსა და თარიღებს:

„სპორტლოტო“ და
„სპორტლოტო-2“

№ 46 — 16 ნოემბერი
№ 47 — 23 ნოემბერი
№ 48 — 30 ნოემბერი
№ 49 — 7 დეკემბერი
№ 50 — 14 დეკემბერი
№ 51 — 21 დეკემბერი
№ 52 — 28 დეკემბერი

„შაბათის სპორტლოტო“

№ 46 — 12 ნოემბერი
№ 47 — 19 ნოემბერი
№ 48 — 26 ნოემბერი
№ 49 — 3 დეკემბერი
№ 50 — 10 დეკემბერი
№ 51 — 17 დეკემბერი
№ 52 — 24 დეკემბერი
№ 53 — 31 დეკემბერი

იყავით ყურადღებიანი ბარათების შევსების დროს. გახსოვდეთ, რომ უტირაჟო ბარათებს თქვენ თვითონვე უნდა დააწეროთ თქვენს მიერ ამორჩეული ტირაჟის ნომერი.

წარმატებას გისურვებთ!

საქსპორტლოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრება მიატოვეს

თბილისის 161-ე საშუალო სკოლა ერთი კვირის მანძილზე მასპინძლობდა დედაქალაქის რაიონის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებ გუნდებს. შეჯიბრება, რომელიც თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლის თაოსნობით მოეწყო, დიდი ოქტომბრის რევოლუციის იუბილეს მიეძღვნა.

ასპარეზობის ორგანიზატორებს გარკვეული პრაქტიკული მიზანიც ჰქონდათ დასახული — გამოევლინათ ნორჩი სპორტსმენები (1962-1963 წლებში დაბადებულნი), რომელთაც მოუხდებათ მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრებას თავი აარიდეს პირველი მაისისა და კიროვის რაიონების წარმომადგენლებმა — ამ ასაკის ფრენბურთელი გოგონები არა გვყავსო. ასეთი „თავის მართლება“, ცხადია მხოლოდ და მხოლოდ გაოცებას იწვევს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ლენინის რაიონის გუნდის ხელმძღვანელთა უცნაური საქციელი — მათ ორი თამაშის წაგების შემდეგ ყველასათვის მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გუდა-ნაბადი აიკრეს და შეჯიბრება მიატოვეს.

ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილეობდა თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდიც, რომელმაც ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა.

რაც შეეხება თვით რაიონის გუნდებს, ყველაზე უკეთ მომზადებული ფრენბურთელები გამოიყვანეს ორჯონიკიძისა (მწვრთნელი თ. ყანჩაველი) და 26 კომისრის (მწვრთნელი პ. კაზიცკი) რაიონებმა. ამ გუნდებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და პირველი ადგილის ბედიც მათს შეხვედრაში გაირკვა. დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით: 15:13, 15:13.

ჯ. კასრაძე.

სურათზე: ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონების ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

ფრენბურთი

ივანე (კაკო) მარის დაბადების 75 წლისთავი

ქართული ალპინიზმის მემატიანე

გამოჩენილ საბჭოთა მთამსვლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს ივანე (კაკო) მარს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მთელი მისი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული და საბჭოური მთამსვლელობის განვითარებასთან.

ჯერ კიდევ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან მთამსვლელურ-მგზავროსნულ სექციის ჩამოყალიბების პერიოდში და შემდეგ „ოპტეს“ მუშაობაში მას დიდი წვლილი მიუძღვის, იგი არის ერთ-ერთი მოთავეთაგანი საბჭოთა კავშირში პირველი ალპური კლუბის დაარსებისა საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით ან უშუალო მონაწილეობით ჩატარებული ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე ბრწყინვალე ფურცელია საბჭოთა მთამსვლელობის განვითარების ისტორიაში.

1932 წელს სამხრეთ აღმოსავლეთიდან, მყინვარწვერის ახალი გზით დაპყრობის ცდის დროს დაიღუპა გამოჩენილი მთამსვლელი შოთა მიქელაძე. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გზით „გველეშაპის“ თავზე გავლით მწვერვალს იპყრობენ მისი უახლოესი მეგობრები კაკო მარი, ასმათ ნიკოლაიშვილი, დავით წერეთელი, იაგორ კაზალიკაშვილი და სხვები. ეს გზა დღემდე მყინვარწვერის დაპყრობის მარშრუტებში ურთულესად ითვლება.

შემდეგ წელს, ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფში კაკო მარი, აკაკი ბელიაშვილთან, ანიკო ხარაძესთან და ალექსანდრა ჯაფარიძესთან ერთად ადიშიდან იპყრობს მწვერვალ თეთნულდს.

1935 წელს მყინვარწვერზე მთელი სამხედრო აღჭურვილობით ადის ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული დივიზიის ათასეული, პირველად მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში ზღვის დონიდან 5043 მეტრის სიმაღლიდან გაისმის ზარბაზნის ზათქი. ამ დიდ ღონისძიებას, რომელიც საბჭოთა კავშირში სამხედრო ალპინიზმის ერთ-ერთ საწყისად ითვლება, ალპინიზმის ინსტრუქტორები დავით წერეთელი და კაკო მარი ხელმძღვანელობდნენ. შემდეგში კაკო მარი ამ გამოცდილებას შესანიშნავად იყენებს, როდესაც კავკასიონს გერმანელ ფაშისტთა ურდოები მოადგნენ. ამ დროისათვის მესტიაში ახლად დაარსებულ სამთო მომზადების სკოლას სათავეში სწორედ ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი, კაკო მარი ჩაუდგა.

ალპიური კლუბის დაარსების დღიდან იგი უცვლელად არის ამ კლუბის საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრი. 1940-1943 წლებში იგი აირჩიეს საქართველოს ალპიური კლუბის თავმჯდომარედ.

1938 წლიდან კაკო მარი ხელმძღვანელობს საქართველოში სამთო სამაშველო სამსახურს, დიდი წვლილი მიუძღვის მას ჩვენში მასობრივი ალპინიზმის განვითარებაში.

1938-1939 წელს ჩრდილო ოსეთში მუშაობა დაიწყო ქართულმა მთამსვლურმა ბანაკმა, სადაც იგი დიდი მონდომებით ხელმძღვანელობს მთამსვლელთა ჯგუფებს. ამ დროს ეკუთვნის მწვერვალ „სონგუტის“ დაპყრობა ქელეშმი ონიანთან, არჩილ ღუდუშაურთან, გენო რაიზერთან და პეტრე მარჩენკოსთან ერთად. შემდეგში კი მათთან ერთად აღმოსავლეთ და სამხრეთ ყარაუგომის ტრავერსი. მასვე ეკუთვნის ახალი გზით ასვლა ადაი-ხოხზე, უილ-ფათაზე და სხვაზე. 1945 წელს იგი ასრულებს დალა-ყორას ტრავერსს.

1945 წელს ქართულმა და საბჭოთა მთამსვლელობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. უშბა-შხელდის ტრავერსის ცდის დროს დაიღუპა ქართული მთამსვლელობის მამამთავარი ალიოშა ჯაფარიძე, მასთან ერთად გამოჩენილი მთამსვლელები ქელეშმი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი.

მთელი საბჭოთა მთამსვლელები დაირაზმნენ ამ ტრაგედიის ფარდის ასახდელად. ალექსანდრა ჯაფარიძის თხოვნით ქართველთა სამაშველო ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ჯაფარიძეების ოჯახის უახლოესი მეგობარი კაკო მარი. ასვლა ჩრდილოეთ უშბაზე განხორციელდა გულის ყინვარიდან. დაფლეთილი კარვის ნარჩენებმა, რკინის პალომ და მწვერვალზე დატოვებულმა წერილმა ნათელი გახადა ის საშინელი ტრაგედია, რომელიც იმ ღამეს გულის მყინვარამდე, დაბრუნებისას თავს დაატყდა ჯგუფს. ამ დროიდან კაკო მარის მთელი ფიქრები შეპყრობილი იყო იმ იდეებით, რომელიც განუხორციელებელი დარჩა ალიოშა ჯაფარიძეს. 1947 წელს იგი ხელმძღვანელობს ნამურყვამ-აილამა-წურუნგალას ტრავერსს.

1949 წლის 25 აგვისტოს კაკო მარი სხვა გამოჩენილ ქართველ მთამსვლელებთან — ბექნუ ხერგიანთან, გოჯი ზურებიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად მეტად რთული და ძნელი შხელდის მწვერვალების ტრავერსის განხორციელების ცდას იწყებს, რომელიც გამარჯვებით მთავრდება.

მეორე წელს მთამსვლელთა ჯგუფი იგივე შემადგენლობით ასრულებს მეტად რთულ შხელდა-უშბის ტრავერსს, რომელიც იმ წელს საბჭოთა კავშირში აღიარებული იქნა ყველაზე რთულ ასვლად.

ამ ასვლების შედეგად ყველა მონაწილეს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

1952 წელს კაკო მარი კვლავ უბრუნდება მთამსვლელური კადრების მომზადებას და სანდრო გვალიასთან ერთად ხელმძღვანელობს საქართველოს პროფკავშირთა ალპინიადას მყინვარწვერზე და „სპარტაკზე“.

1955 წელს იგი კვლავ ზემო სვანეთის მთამსვლელებთან შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილეებთან: ბ. ხერგიანთან, ი. გაბლიანთან და ჭ. ჩართოლანთან ერთად ჩრდილო დასავლეთის ურთულესი კედლით, ახორციელებს სამხრეთ უშბაზე ასვლას. ამ ასვლამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა.

გარდა კავკასიონისა, კაკო მარის ხელმძღვანელობით 1962 წელს სასიმაღლო ასვლები ტარდება პამირშიც.

დღესაც დიდი შემართებით განაგრძობს კაკო მარი თავის საყვარელ საქმეს, იგი არის საქართველოს მთამსვლელთა პრეზიდიუმისა და მწვრთნელთა საბჭოს წევრი, ვეტერანთა საბჭოსა და დისციპლინარული კომისიის თავმჯდომარე.

თ. ქიქავა.

დღეს, 19 საათზე, თბილისში, ჰადრაკის სასახლეში გაიმართება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, გამოჩენილი მთამსვლელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **ივანე (კაკო) მარის** დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა

ნიუ-იორკი, 6 ნოემბერი. როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა გუნდმა ორეგონში დაამარცხა აშშ-ის ათი შტატის სტუდენტთა ნაკრები — 70:61. აი, რა თქვა ამ შეხვედრის თაობაზე საბჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ.

მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა. ფიზიკურად ძლიერმა, სწრაფმა ამერიკელებმა მაშინვე პრესინგი შემოგვთავაზეს.

გამოცდილმა, ცნობილმა მწვრთნელმა რალფ მილერმა, რომელიც დაესწრო ლოს-ანჯელესში ჩატარებულ მატჩს, თქვა, რომ სტუმრები ასეთ პრესინგს ვერ გადალახავენო.

იგი შეცდა. საბჭოთა გუნდის სასტარტო შემადგენლობას — ახალგაზრდებს დერიუგინს, მელენშკინსა და ტკაჩენკოს კარგად აუბეს მხარი გამოცდილმა ქორქიამ და ბელოვმა. საბჭოთა კალათბურთელებმა შეძლეს მატჩის დებიუტის მოგება. მე-5 წუთზე ანგარიში იყო 15:11. შემდეგ კი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა.

საბჭოთა გუნდიდან მელეშკინის, ბელოვისა და ქორქიას ნაცვლად ბრძოლაში ჩაებნენ ლოპატოვი, იოვაიში და ერიომინი, ხოლო სამი წუთის შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ ცენტრის მოთამაშეები ჟიგილიი და ბელოსტენი. თამაშის ტემპი კვლავ სწრაფი იყო. კარგი სიტუაცია ვერ გამოიყენა ჟიგილიიმ, გადაცემებში ცდებოდნენ ლოპატოვი და მელეშკინი.

მასპინძლებმა კი ისარგებლეს ამით და ზუსტი ტყორცნების წყალობით დაწინაურდნენ — 29:21. ახლა საბჭოთა გუნდმა წარმატებით გამოიყენა პრესინგი და ტაიმის ბოლოს შეამცირა სხვაობა — 36:38. შედეგიანად თამაშობდა ტკაჩენკო (მის ანგარიშზეა 20 ქულა), ათამაშდა ერიომინიც. საბჭოთა სპორტსმენებმა ინიციატივა თანდათან იგდეს ხელთ. შეხვედრის ბოლო მათ კარგად ჩაატარეს და გაიმარჯვეს კიდეც.

ახალგაზრდებიდან კარგად ითამაშეს იოვაიშმა, დერიუგინმა და ბელოსტენიმ, რომლებმაც ერთად 30 ქულა მოუტანეს გუნდს.

საბჭოთა კალათბურთელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად მათ ქალაქ სოლტ-ლეიკსიტში მოუგეს იუტას შტატის ნაკრებს — 83:75. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მოსკოველმა დინამოელმა ვ. ჟიგილიიმ (28 ქულა).

• • •

ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა ნაკრები, რომელიც აშშ-ში აწყობს ტურნეს, ლუისვილში დამარცხდა ადგილობრივ გუნდ „ლუისვილ კარდინალზთან“ — 82:96. (საკდესი).

კალათბურთი

საავტომობილო ტრასებზე

საავტომობილო მრავალჭიდში საბჭოთა კავშირის პირველობას კიშინიოვმა უმასპინძლა. ასპარეზობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოს ღირსებას იცავდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატები რ. მაისურაძე და ვ. გოგაძე (ორივე — თბილისის ტაქსების მესამე პარკი), ა. კუბლაშვილი (საგზაო სამშენებლო ტექნიკუმი), ო. ხოსანაშვილი (თბილისის დოსაафის კომიტეტის ინსტრუქტორი) და ზ. კერთაძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

გუნდური ტურნირი ლატვიის სპორტსმენებმა მოიგეს. II ადგილზეა თურქმენეთის ნაკრები. III ადგილი საქართველოს ავტომობილისტებს ხვდათ.

ტოლიატში გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირის ა. ნიკონოვის პრიზის გათამაშება. აქ საქართველოს ავტომობილისტები V ადგილზე გავიდნენ. პირად პირველობაში კი უძლიერესი იყო რ. მაისურაძე.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ემზადებიან მომავალი ასპარეზობებისთვის

ზუგდიდში კარგა ხანია დაინერგა და პოპულარული გახდა ველოსპორტი. წელს ფოთში გამართულ ახალგაზრდულ თამაშებზე, ზუგდიდელმა ველოსიპედისტებმა გუნდური IV ადგილი დაიკავეს და უკან ჩამოიტოვეს აჭარისა და აფხაზეთის ძლიერი კოლექტივები. ზუგდიდის 62-ე პროფტექნიკური სასწავლებელში ჩამოყალიბებულია ველოსიპედისტთა სექცია, რომელსაც სპორტის ოსტატი გ. ხაჯალია ხელმძღვანელობს. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა შემოგვთავაზა, სასწავლებლის ველოსიპედისტთა მორიგი ვარჯიშია აღბეჭდილი.

„შაბათის სპორტლოტოს“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შაბათის „სპორტლოტოს“ 45-ე ტირაჟის შედეგები.

პირველ ტირაჟში ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3137 მანეთია (24 ბარათი), ოთხი ნომრის გამოცნობისთვის — 69 მან. (2054), სამისთვის 3 მან. (51755).

მეორე ტირაჟში ხუთი გამოცნობილი ნომრისთვის მოგება 5000 მანეთია (4 ბარათი), ოთხისთვის — 159 მან. (1196), სამისთვის — 5 მან. (32334).

მოგებათა გაცემა იწარმოებს 16 ნოემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით.

• • •

45-ე ტირაჟი

9 ნოემბერს გაიმართა „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 45-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები:

„სპორტლოტო“: 6 (კალათბურთი), 9 (ჭიდაობა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 16 (ტანვარჯიში), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 47 (ჰოკეი ბურთით).

„სპორტლოტო-2“: 7 (ბიატლონი), 10 (საბუერო სპორტი), 11 (ველოსპორტი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 35 (სამბო), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 1 (ავიასპორტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება, რომელსაც ველოდით

სსრ კავშირის
ჩემპიონატი

ფეხბურთი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 10 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:0 (0:0).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (შენგელია), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (ჩივაძე).

„ლოკომოტივი": ნოვიკოვი, ალექსანდროვი, ოვჩინიკოვი (კომაროვი), კამზულინი, სოლოვიოვი, რიახოვსკი, ილინი, სიომინი, პეტრაკოვი, ავერიანოვი, გაზაევი.

მსაჯი მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

გუნდისთვის, რომელიც საპრიზო ადგილზე გასასვლელად იბრძვის, არ არსებობს მეტად თუ ნაკლებად საპასუხისმგებლო მატჩი, რადგან ყოველი დაკარგული ქულა, ყოველი წაფორხილება გულდასაწყვეტი და დასანანი სწორედ ჩემპიონატის ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ გუშინდელი მატჩი რომ განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო იყო, ამაში უდავოდ ყველა დაგვეთანხმება.

თბილისელებმა თითქმის თამაშის დასაწყისშივე შეიტყვეს ალმა-ათაში გამართული შეხვედრის შედეგი (1:1) და ისიც, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ვერცხლის მედლების უცილობელი მფლობელები ხდებოდნენ. ახლა მხოლოდ ორი ქულაღა იყო საჭირო და თამაშიც დინამოელთა მძაფრი შეტევით დაიწყო. უკვე მესამე წუთზე ჩელებაძის მიერ დარტყმული ბურთი ჩინებულად მოიგერია რკინიგზელთა მეკარე ნოვიკოვმა (უნდა ითქვას, რომ იგი მთელი მატჩის განმავლობაში კარგად თამაშობდა), შემდეგ კი მაჩაიძემ ააცილა კარს. პირველი ათი წუთის განმავლობაში ბურთი მოსკოველთა საჯარიმო მოედნის ახლოს ტრიალებდა, მერე თამაში ასე თუ ისე დაცხრა. თანდათან გუნდების ტაქტიკური მონახაზიც გამოიკვეთა. მეტოქის კარის მისადგომებთან თბილისელებმა ძირითადად გუცაევსა და ჩელებაძეს მიუჩინეს ადგილი, მოედნის ცენტრისაკენ დაწეული ყიფიანი კი მაჩაიძესა და დარასელიასთან ერთად განუწყვეტლივ ამარაგებდა ბურთებით ფორვარდებს.

რკინიგზელთა მცველები ხშირად ცდილობდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას, მაგრამ მეტოქის ამ ტაქტიკურ სვლას თბილისელებმა მშვენივრად აუღეს ალღო და რამდენიმე სახიფათო მომენტი სწორედ ამ გარემოებაში შეიქმნა.

თამაშის პირველ ნახევარში მოსკოველთაგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ პეტრაკოვი, ავერიანოვი, და სწრაფი, საკმაოდ აგრესიული გაზაევი. ამ ფეხბურთელებს ხშირად სოლოვიოვიც ეხმარებოდათ, რომელიც საკმაოდ ღრმად ჩამოდიოდა დინამოელთა მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ თბილისელთა დაცვის ხაზი ყოველთვის დროულად ახერხებდა შეტევის უვნებელყოფას.

მატჩის ოცდამერვე წუთზე გუცაევი კარგად გაექცა კამზულინს, ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ იქვე მყოფმა ჩელებაძემ ანგარიშის გახსნის ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ სურათი ერთგვარად შეიცვალა. რკინიგზელებმა ნახევარდაცვა გააძლიერეს, უკან, მინდვრის ცენტრისკენ დაიწიეს პეტრაკოვმა და ავერიანოვმა, დინამოელთა ნახევარზე მხოლოდ გაზაევიღა დარჩა, რომელსაც ყურადღებით დარაჯობენ კანთელაძე და კოსტავა. თბილისელები კი უფრო გააქტიურდნენ. თავდასხმის წინა ხაზზე გადაინაცვლა ყიფიანმა. უკეთ ათამაშდა გუცაევიც და აი თამაშის ორმოცდამეათე წუთზე ილინმა იგი საჯარიმო მოედანზე მოცელა — თერთმეტმეტრიანი! მაგრამ კვლავ იმარჯვა ნოვიკოვმა და ქორიძის მიერ დარტყმულ ბურთს კარის მარჯვენა კუთხეში მიუსწრო... თამაში უფრო გამძაფრდა. ძალზე გააქტიურდა გაზაევი, იგი რამდენჯერმე გაექცა მცველებს, მაგრამ ხან კანთელაძე და ხანაც ხინჩაგაშვილი დროზე ასწორებდნენ მეგობართა შეცდომებს. უნდა ითქვას, რომ გაზაევის აგრესიულმა თამაშმა ერთგვარად შეზღუდა კოსტავას აგრერიგად საჭირო და სასარგებლო რეიდები მეტოქის მარჯვენა ფლანგზე.

მალე ინიციატივას მთლიანად თბილისელები დაეუფლნენ და მატჩის 70-ე წუთიდან დინამოელთა ფორვარდები და არამარტო ფორვარდები, მეტოქის საჯარიმო მოედანს აღარც მოსცილებიან. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ გუცაევს, მაჩაიძეს, ჩელებაძეს... 84-ე წუთზე მინდორზე ახლადშემოსულმა შენგელიამ კარგად ითამაშა თავით, ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა, უკან დაბრუნდა და გუცაევის ზუსტი დარტყმის შემდეგ ბურთი რკინიგზელთა კარის ბადეში აღმოჩნდა.

ამ გოლმა თბილისის დინამოელებს ვერცხლის მედლები მოუხვეჭა.

მატჩის შემდეგ

ი. ვოლჩკოვი („ლოკომოტივის" უფროსი მწვრთნელი): უპირველეს ყოვლისა მინდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, მის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს მივულოცო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები. მატჩი მეტად დაძაბული იყო და თბილისელთა გამარჯვება — დამსახურებული. ვფიქრობ, თბილისის დინამოელებმა ამ ჩემპიონატში მოიპოვეს ის ადგილი, რომელსაც დღეისათვის იმსახურებდნენ.

ნ. ახალკაცი („დინამოს" უფროსი მწვრთნელი): „ლოკომოტივმა" წლეულს დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. გუნდმა საინტერესო მოთამაშეები შეარჩია და დღეს მოწინავე ადგილი უკავია საბჭოთა ფეხბურთში. „ლოკომოტივი" საპრიზო ადგილის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი გახლდათ, მაგრამ ფინიში სუსტად ჩაატარა და ოთხი ქულაც დაკარგა. რაც შეეხება ჩვენი გუნდის თამაშს, ეს გენერალური რეპეტიცია გახლდათ უეფა-ს თასის გათამაშებაში „გრასჰოპერსთან" შეხვედრის წინ. ვფიქრობ, 23 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაახლოებით ასეთივე გუნდთან გვექნება თამაში, ოღონდ ეგაა, ფეხბურთელები იქნებიან სხვები. ახლა, რამდენიმე სიტყვა დღევანდელი შეხვედრის მსაჯზე. ჩერდანცევს წინათაც უმსაჯია შეხვედრები თბილისის „დინამოს" მონაწილეობით როგორც ჩვენთან, ისე სტუმრად. მის მიმართ არასოდეს გვქონია პრეტენზიები. ჩერდანცევი დღესაც ობიექტური იყო.

მ. ჩერდანცევი (მსაჯი): „ლოკომოტივს" შეუძლია თამაში. იგი ძნელად გასატეხი გუნდია და ეს ამ მატჩმაც დაადასტურა: თამაში საინტერესო იყო. ფეხბურთელებმა მაღალი ოსტატობა აჩვენეს. პირველ ტაიმში იყო მომენტები, როცა ფეხბურთელებმა ნერვიულობის გამო უხეშობასაც მიმართეს. მაგრამ ჩემი სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა.

და ბოლოს, მინდა თბილისელებს მეც მივულოცო დამსახურებული გამარჯვება და ვერცხლის მედლები.

ნ. შატაიძე,
ა. გურასაშვილი.

სხვა მატჩები

29-ე და 30-ე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" 2:0, „დინამო" (კიევი) — „ქაირათი" 4:0, „კრ. სოვეტოვი" — „შახტიორი" 3:3, „შახტიორი" — „ზენიტი" 3:2, „ზარია" — „დინამო" (მოსკოვი) 0:0, „კარპატი" — „კრ. სოვეტოვი" 2:1, „ჩერნომორეცი" — ცსკა 2:1, „ნეფთჩი" — „დნეპრი" 1:1, „ქაირათი" — „ტორპედო" 1:1, „არარატი" — „დინამო" (კიევი) 0:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." კ.	30	14	15	1	51—12	43
„დინ." თბ.	30	13	13	4	43—26	39
„ტორპედო"	29	12	12	5	29—22	36
„დინ." მ.	30	9	17	4	34—20	35
„შახტ."	30	9	16	5	31—24	34
„ლოკომ."	30	9	14	7	27—25	32
„ჩერნომ."	30	11	8	11	33—41	30
„ქაირათი"	30	6	17	7	26—31	29
„ზარია"	30	8	12	10	28—24	28
„ზენიტი"	30	8	12	10	34—33	28
„დნეპრი"	30	9	9	12	24—31	27
„ნეფთჩი"	30	5	17	8	25—34	27
ცსკა	30	5	17	8	28—39	27
„კარპატი"	30	6	14	10	26—30	26
„არარატი"	29	7	12	10	27—33	26
„კრ. სოვ."	30	2	7	21	18—59	11



სურათებზე: გოლი ლოკომოტიველთა კარში.
მ. ზარგარიანის ფოტოები.

დიდი წარმატებისთვის

საბჭოთა კავშირის მე-40 საფეხბურთო ჩემპიონატში მოპოვებული II ადგილისა და ვერცხლის მედლების დასაკუთრებისთვის საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო სიგელებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი.

დაჯილდოებულთა შორის არიან: გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი, გუნდის უფროსი ალმზრდელობით დარგში ნ. ძიაპშიპა, მწვრთნელები ს. კუტივაძე, ს. მეტრეველი, მწვრთნელი საერთო-ფიზიკურ მომზადებაში ა. ხუციშვილი, ექიმი ზ. თელია, ადმინისტრატორი თ. მაჭავარიანი, მასაჟისტი ა. გაბიტაშვილი; ფეხბურთელები: მ. მაჩაიძე, დ. გოგია, ო. გაბელია, მ. გაგოშიძე, თ. კოსტავა, ფ. კანთელაძე, შ. ხინჩაგაშვილი, დ. მუჯირი, ნ. ხიზანიშვილი, ვ. დარასელია, ვ. ქორიძე, ა. ჩივაძე, გ. მაჩაიძე, ვ. კოპალეიშვილი, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, რ. ჩელებაძე. რ. შენგელია.

ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საერთაშორისო ოსტატმა ქ. კაიშაურმა (შვეცია) ჭადრაკის სასახლის აღსაზრდელებთან ჩაატარა ერთდროული სეანსი 16 დაფაზე. სეანსიორმა 14 პარტია მოიგო, ორი კი — წააგო.

სურათზე: ქ. კაიშაური ერთდროული სეანსის ჩატარების დროს.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

უძლიერესთა ათეული

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. ჟურნალმა „უორლდ ტენისმა" 1977 წლის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელად დაასახელა 22 წლის ამერიკელი კრის ევერტი. წლევანდელ სეზონში უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული ინგლისელი ვირჯინია უეიდი ამ სიაში მეორეა. ევერტი და უეიდი წელს ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან ოთხჯერ გაიმარჯვა ამერიკელმა სპორტსმენმა.

უძლიერესთა ათეულში კიდევ 3 ამერიკელი, 3 ავსტრალიელი და თითო ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელია.

ამ სიის გამოქვეყნებიდან ერთი დღის შემდეგ ამერიკის ქალაქ პალმ-სპრინგსში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ევერტმა. ფინალში მან სძლია თავის თანამემამულეს ბილი-ჯინ კინგს — 6:2. 1971 წლიდან მოყოლებული ევერტი და კინგი ერთმანეთს 18-ჯერ შეხვდნენ. 11-ჯერ გაიმარჯვა ევერტმა. ამ ტურნირში უეიდი ნახევარფინალში გავიდა, სადაც კვლავ წააგო ევერტთან.

• • •

ბოლო წლების უძლიერესი საბჭოთა ჩოგბურთელი, მოსკოველი ოლგა მოროზოვა სამჯერ აღმოჩნდა ამერიკული ჟურნალის მიერ შედგენილ „ათეულში". 1973 წელს კი მეოთხე იყო ამ სიაში. (საკდესი).

ჩოგბურთი

არ სურს თამაში „მშობლიურ კედლებში"...

სტოკჰოლმი, 11 ნოემბერი. შვეციის დედაქალაქის ღია ჩემპიონატმა მსოფლიო ჩოგბურთის ათობით „ვარსკვლავს" მოუყარა თავი. ტრადიციისამებრ ტურნირში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიცაა მექსიკელი რ. რამირესი, ინგლისელი რ. ტეილორი, ამერიკელი ბ. გოტფრიდი, ჩეხოსლოვაკიელი ი. კოდეში და სხვა. ჩემპიონატში კვლავ არ უასპარეზია უძლიერეს შვედ ჩოგბურთელს, უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონს ბიორნ ბორგს. ბორგი წინააღმდეგია ითამაშოს მშობლიურ შვეციაში გამართულ შეჯიბრებებში, რადგან შვედები მას საჭირო პატივით არ ეპყრობიან, ხოლო მისი საქციელის გაკრიტიკება გაბედა... შვედურმა პრესამ.

ჯერჯერობით კი № 1 ჩოგბურთელი აგრძელებს თავის მრავალთვიან სპორტულ მოგზაურობას თითქმის ყველა კონტინენტზე და რა თქმა უნდა, ამჯობინებს ტურნირებს პროფესიონალთა მონაწილეობით.

ამ დღეებში ბორგმა გაიმარჯვა ქალაქ კიოლნში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

[illegible] 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ № 14. უე 02351